

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32 ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>ფიზიკა</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>ფიზიკის დოქტორი</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს. მათ შორის: საკონტაქტო საათების მოცულობა შეადგენს 60 ECTS კრედიტს, სამეცნიერო კომპონენტის მოცულობა 120 ECTS კრედიტს. სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 ECTS კრედიტს: - სპეციალობის სავალდებულო კურსები - 40 ECTS კრედიტი; - სპეციალობის არჩევითი ან საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები - 20 ECTS კრედიტი. სამეცნიერო კომპონენტი მოიცავს 120 ECTS კრედიტს</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<ul style="list-style-type: none"> - უზრუნველყოს ფიზიკაში მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მადიებლის ზოგადი მეცნიერული და პრაქტიკული მომზადება და მისი ჩამოყალიბება სპეციალისტად, რომელსაც შესწევს უნარი კრიტიკულად გაანალიზოს დაგროვილი ინფორმაცია გარემოში ელექტრომაგნიტური ტალღების მიღების, გავრცელების, გამოყენების, მათი ცოცხალ და/ან არაცოცხალ გარემოზე ზემოქმედების, გარემოს მახასიათებელი სტატისტიკური პარამეტრების ევოლუციური ცვლილებების და სხვ. შესახებ. შექმნან კვლევის ახალი მეთოდები, თეორიები და მიდგომები; - უზრუნველყოს ფიზიკაში მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მადიებლის ჩართვა საერთაშორისო ინტელექტუალურ სივრცეში. დოქტორანტის მიერ შემუშავებული ინოვაციური კვლევითი მეთოდებისა და მიდგომების ასახვა საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში და გავრცელება სწავლების გზით; - ხელი შეუწყოს ფიზიკაში მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მადიებელს რთული და წინააღმდეგობრივი იდეების დამოუკიდებლად გადალახვასა და შესაბამისი მიდგომების შემუშავებაში. ეფექტური გადაწყვეტილების მიღებაში. უზრუნველყოს დოქტორანტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ მოპოვებული ცოდნის ეფექტური და შესაბამისი ფორმით წარდგენა. დოქტორანტს სამეცნიერო კვლევასთან ერთად ევალება მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა, გადაცემა როგორც ინტერპერსონალურ ასევე პოლისტრუქტურულ კომუნიკაციაში. - ხელი შეუწყოს დოქტორანტს ახალი ღირებულებების დამკვიდრების გზების ძიებაში და ინოვაციური მეთოდების შემუშავებაში.
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> - ფიზიკის სხვადასხვა დარგების: ატმოსფეროს რადიოფიზიკის, სტატისტიკური რადიოფიზიკის, შემთხვევითი ველის თეორიის, წყლიანი გარემოს სპექტროსკოპიისა და სხვ. მიმართულებით უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც ამავე სფეროებში არსებული ცოდნის გაფართოების საშუალებას იძლევა და აისახება რეფერირებადი პუბლიკაციების სახით. - კვლევის ცნობილი სპეციფიკური რადიოფიზიკური და მაგნიტოოპტიკური ინოვაციური კვლევის მეთოდების ღრმა, სისტემური და უახლესი ცოდნა. - არსებული რადიოფიზიკური და მაგნიტოოპტიკური მიდგომებისა და მეთოდების გაცნობიერების უნარი ხელახალი გააზრების და ნაწილობრივ გადაფასების გზით. <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - დამოუკებლად დაგეგმოს, განახორციელოს და ზედამხედველობა გაუწიოს ინოვაციურ კვლევებს სპეციფიკური და უახლესი რადიოფიზიკური და მაგნიტოოპტიკური მეთოდების საფუძველზე. - ახლებური კვლევითი და ანალიტიკური რადიოფიზიკური და მაგნიტოოპტიკური მეთოდების, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.

<p>შეფასების წესი</p>	<p>ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A, B, C, D, E, FX, F.</p> <p>A – ფრიადი 91-100 ქულა; B – ძალიანკარგი 81-90 ქულა; C – კარგი 71-80 ქულა; D – დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა; E – საკმარისი 51-60 ქულა; FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება აქვს; F – ჩაიჭრა 0-40 ქულა. სტუდენტს საგანი აქვს თავიდან გასავლელი.</p> <p>სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება შემდეგი სისტემის მიხედვით:</p> <p>ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი; ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელები:</p> <p>ჟუჟუნა დიასამიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: (+995) 599 76 53 42 ელ. ფოსტა: zhuzhuna.diasamidze@bsu.edu.ge</p> <p>ნუგზარ ღომიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: (+995) 577 17 97 27 ელ. ფოსტა: gomidze@bsu.edu.ge</p>